სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

16/04/2025

MES 8 25 0000420046

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა 89-ე ღია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, 2013 წლის 9 სექტემბრის, №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების, მე-14 მუხლის, მე-6-ე პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტური სერვისების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსის, ლევან ფიფიას 2025 წლის 15 აპრილის MES 0 25 0000414117 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. ჩატარდეს სტუ-ის სტუდენტთა 89-ე ღია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია 2025 წლის 5 ივნისიდან 21 ივნისამდე;
2. კონფერენციაში მონაწილეობის მსურველ სტუდენტთა ონლაინ რეგისტრაცია განხორციელდეს ვებგვერდზე https://studconf.gtu.ge 2025 წლის 30 აპრილიდან 12 მაისამდე (ყოველ დღე).
3. ნაშრომების წარდგენა შესაბამის ფაკულტეტზე, სათანადო სექციის ხელმძღვანელ პირთან განხორციელდეს 2025 წლის 30 აპრილიდან 20 მაისამდე;
4. კონფერეცნიის გახსნის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 4 ივნისი;
5. დაევალოს სექციის ხელმძღვანელს, სექციის მუშაობის ანგარიში (ოქმის და დანართების ფიზიკური და ელექტრონული ვერსია, სექციის მუშაობის აუდიო/ვიდეოტექნიკური

ჩანაწერი (CD ან DVD)) წარადგინოს სტუ-ის სტუდენტური სერვისების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტში, სექციის მუშაობის დასრულებიდან 5 დღის ვადაში;

6. კონფერენციის დახურვის ღონისძიება გაიმართოს 8 ივლისს;
7. დამტკიცდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა 89-ე ღია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის დებულება (დანართი №1);
8. კონფერენციის ორგანიზება დაევალოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტური სერვისების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს;
9. კონფერენციაში მონაწილე სტუდენტების თეზისების კრებულის გამოცემა, კონფერენციაში გამარჯვებული და მონაწილე სტუდენტებისთვის სერტიფიკატების დამზადება და გაცემა დაევალოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტური სერვისების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს;
10. დაევალოთ ფაკულტეტების დეკანებს და აკადემიური დეპარტამენტების უფროსებს კონფერენციის დებულებით განსაზღვრული მოვალეობების შესრულება;
11. ბრძანება და მისი დანართი (კონფერენციის დებულება) განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე და გამოიკრას ფაკულტეტებზე თვალსაჩინო ადგილას;
12. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

რექტორი
გურგენიძე დავით